შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგების აკადემია“

სტუდენტური სერვისები

ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტური თანამშრომლობა

აკადემიის თანამშრომლები სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობენ პროფესიული სტუდენტების ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. აწვდიან მათ ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას:

- რეგისტრაციის;
- ჩარიცხვის;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების;
- შეფასების საორგანიზაციო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე;

საქმისწარმოებისა ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გასცემს ცნობებს და საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვ.

კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტთან ეფექტური თანამშრომლობისათვის:

- ორიენტირებულია გაარკვიოს სტუდენტის პრობლემა და საჭიროებები;
- სტუდენტის უკმაყოფილებას ეკიდება საქმიანად;
- აგვარებს პრობლემას და ახდენს შემდგომში მსგავსი შემთხვევის პრევენციას;
- უთმობს პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში დამატებით დროს;
- იცავს პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობებისას ეთიკის ნორმებს;
- სტუდენტის პრობლემებზე და მომართვებზე მყისიერად იწყებს რეაგირებას კოლეჯში არსებული წესის შესაბამისად.

კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს მრავალფეროვანი მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით, რაც გულისხმობს:

- უსაფრთხო და დაცულ საგანმანათლებლო სივრცეს;
- უსაფრთხო და დაცულ გარემოს;
- რეკრეაციული ადგილების არსებობას;
- სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეების არსებობას;
- 24-საათიან განათებას;
- შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით;
- ნათელ, ვრცელ პროექტორებით და ავეჯით აღჭურვილ აუდიტორიებს;
- კომფორტულ თანამედროვე ბიბლიოთეკას, განთავსებულს ცალკე სივრცეში,

უზრუნველყოფილს მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით,

- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;
- ახალი ტექნიკით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით;
- პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- მთელი საგანმანათლებლო სივრცის სისუფთავის დაცვას;
- მოწესრიგებულ სველ წერტილებს,
- წყლის უწყვეტი მიწოდებით;
- კოლეჯი სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავაფეროვნებაზე.
- გარკვეული ხარისხით ადაპტირებულ გარემოს შშმ(თბილისის ლოკაციებზე პანდუსები, საჩხერის ლიკაციაზე ლიფტი).

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს

დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას;

კარიერული მხარდაჭერა

კოლეჯში მოქმედებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ეხმარება კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში. შექმნილია გვერდი, რომელიც ემსახურება აკადემიის სტუდეტნტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას

https://www.facebook.com/Bta-

აკადემია სთავაზობს სტუდენტებს ფორმალური განათლების აღიარებას, ფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

ფორმალური განათლების აღიარების წესი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების პირობებსა და პროცედურებს.

ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ აკადემიის რომელიმე პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

ფორმალური განათლების აღიარების ეტაპებია:

- დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;
- კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;
- კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- დაწესებულების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკითა და უსადენო ინტერნეტით.

დარგობრივი კაბინეტი საექთნო განთლების პროფესიული პროგრამისთვის

კომპიუტერული კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, სამუშაო მაგიდებითა და უწყვეტი ინტერნეტით.

კაბინეტი შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის

ინტეგრირებული მოდულებისთვის განკუთვნული ლაბორატორია

კაბინეტი ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამისთვის

კაბინეტი ელექტროობის პროფესიული პროგრამისთვის

ფინანსური მხარდაჭერა



კოლეჯში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა(საოფისე საქმის პროგრამა);

კოლეჯი ითვალისწინებს პრიოფესიულ სტუდენტის განცხადებებს სწავლის საფასურის გადახდის გადავადების თაობაზე, ან ნაწილ-ნაწილ გადახდაზე;

გარკვეული კატეგორიის სტუდენტებს კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს ფინანსურ შეღავათებს.

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა

კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას,კოლეჯისთვის სტუდენტური ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საგანმანათლებლო აქტივობები;
- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
- სპორტული ღონისძიებები;
- შემეცნებითი ღონისძიებები;
- საქველმოქმედო ღონისძიებები;
- არაფორმალური განათლება.